

საქართველო

ეროვნული თავისუფლების ბრძოლა — კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგობის ბრძოლა — ეროვნული თავისუფლების ბრძოლა

ეროვნული
თავისუფლების
ბრძოლა

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საოცარად მშობრივ-პოლიტიკური ბაზეთი
გამოდიოდა 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 47 (1332)

2-8 დეკემბერი, 1992 წ.

11 ოქტომბრის შედეგ...

11 ოქტომბერს არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტი. გავიდა თითქმის თვენახევარი. ამ თვენახევარის მანძილზე „დიდმნიშვნელოვანი“ საკითხები გადაწყდა.

კერძოდ, როდის უნდა დანიშნულიყო პარლამენტის პირველი სხდომა!

მძიმე და ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ ეს საკითხი გადაწყდა და სხდომა დაინიშნა...

ვინ უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს მეთაური? მეთაური აირჩიეს.

რამდენი კომისია უნდა იყოს პარლამენტში?

ხანგრძლივი, უსერიოზულესი დაბატების შემდეგ კომისიათა რაოდენობა დადგინდა...

რომელ დეპუტატებს უნდა დაკისრებოდათ კომისიების თავმჯდომარეთა მოვალეობები?

სასოწარკვეთამდე მისული დაძაბულობა განიშლდა — კომისიებს თავმჯდომარეები შეურჩიეს!

რა არის სამინისტრო, რა არის კომიტეტი, რა არის კორპორაცია?

ეს საკითხიც დადგინდა

კითხვის მეორედ დასმამდე...

რამდენი მინისტრი, რამდენი კომიტეტის თავმჯდომარე და კორპორაციის ხელმძღვანელი გვეჭირდება და ვინ ღირსვეთ ხელმძღვანელებად?

შაბაში ეს რთული საკმეც მოგვარებულია. ასე რომ, პარლამენტმა თვენახევრის მძიმე და მომქანცველი მუშაობის შემდეგ გადაწყვიტა პორტფელის მაძიებელთა ბედი, ზოგის ავად — ზოგის კარგად...

ეს არ არს ურიგო საკმე პარლამენტის მუშაობის ამიღწევებით, ალბათ, „აღფრთოვანებულია“ აუხაზეთისა და სამაჩაბლოს მოსახლეობა, რომელთა ბედსა და სიცოცხლეს ჯერჯერობით ისევ სწაიპერთა ტყვეობის სწვევტენ!

ამ საკითხთან დაკავშირებით სიტყვას ვაძლევთ დიდ აკაკის...

წინაპართა გაკვეთილები

ვისას ყურნი აქვს სმენად, ისმინათ!



ნებოდნენ. სხვათა შორის, იყო ერთი ქვეყანაც „კუდაბიკეთი“, ოდესმე სახელგანთქმული და მოწონებული, მაგრამ ბოლოს კი ისე დაცემული და დაზიანებული, რომ მისი მკვიდრები ნაცარქექიაობის მეტს ვეღარას ახერხებდნენ: უჯდნენ კერას და ერთმანეთს უჩუხურუნებდნენ. სხვათა შორის, იყო ერთი ქვეყანაც „კუდაბიკეთი“, ოდესმე სახელგანთქმული და მოწონებული, მაგრამ ბოლოს კი ისე დაცემული და დაზიანებული, რომ მისი მკვიდრები ნაცარქექიაობის მეტს ვეღარას ახერხებდნენ: უჯდნენ კერას და ერთმანეთს უჩუხურუნებდნენ.

ვინების დროს გამოატყვედნენ თვალებს ბეცად, ახორხობდებოდნენ, აჭიკვინდებოდნენ, ერთმანეთს ნაცარს აყრიდნენ თვალეში და არჩევნებს რომ მორჩებოდნენ, ისევ ისე ჩვეულებრივად მიეგდებოდნენ კერას ძირას... ცარიელი გუდა ადვილი გასაბერავია!.. კაციც

აკ სწორედ სადღაც თხის ჯოგაო. მართალია, თითო-ორი შეგნებული თაქვეყნისთვის გულშემივარი მათშიაც ურია, რამ იმ არეუ-დარევაში და საერთო ხორხობში ვინდა რას გაიგონებდა, რომ ყურთასმენა აღარსად იყო.

კუდაბიკეთი

(ზღაპრული მოთხრობა)

ბდნენ. მათთვის რაღა საჭირო იყო ან ლომი, ან ვეშაპი, რომ მათი მარხუბელი ჭიალუც დიდი რამე ეგონათ? და მოინდომეს მკებნარის თავყანისცემა, მაგრამ არ იცოდნენ ვისთვის მიეცათ უპირატესობა: ტილისათვის თუ რწყილისათვის? ზოგს ის მოსწონდა და ზოგს ეს!.. არჩევანზე მივარდა საქმე. კუდაბიკელები ორად გაიყვნენ. ერთმა მხარემ ტილი გამოიყვანა თავის კანდიდატად და მეორემ რწყილი. ვერ შეთანხმდნენ, მოუვიდათ ჩხუბი და ნაცარმტუტი აადინეს. დაერიენ ერთმანეთს და აღარ ზოგავდნენ. ამ საბრალოებს სულ კერას ძირში ეძინათ, არაფერს არ დასდევდნენ, არა ვინტერესებოდათ რა, და მხოლოდ სამწელიწადში ერთხელ, არჩევნების დროს გამოატყვედნენ თვალებს ბეცად, ახორხობდებოდნენ, აჭიკვინდებოდნენ, ერთმანეთს ნაცარს აყრიდნენ თვალეში და არჩევნებს რომ მორჩებოდნენ, ისევ ისე ჩვეულებრივად მიეგდებოდნენ კერას ძირას... ცარიელი გუდა ადვილი გასაბერავია!.. კაციც

ასეა: რაც უფრო ცარიელი აქვს თავი და გული, უფრო მალე იბერება და თავის თავიც დიდ რამედ მოაქვს. კუდაბიკეების ქვეყანაშიც ეს სენი საერთოდ იყო მოდებული; ათში ცხრა იბერებოდა და სხვის თვალში რომ ბეწვს ექებდა, თავისაში დვირესაც ვეღარ ხედავდა. დიდი და პატარა ენად იყო გადაქცეული; ტიტინობდნენ და ლაქლაქობდნენ! ერთი მათგანი რომ იტყოდა, მაგალითად, „შარშან ზამთარში კურდღელი მოთოვაო“, მეორე დაუმოწმებდა: „მართალიაო! და შიგადაშიგ შეველიც გამოურიო“. ყველა ტრამბახობდა, ყველა თავის თავზე ლაპარაკობდა, გაისმოდა განუწყვეტელი „მე, მე და მეო!“ ასე რომ ბრმას რომ ყური დაეგდო, იფიქრებდა:

— თქვე უბედურო... ცარქექიებო, მოგვითხრობენბას, — უჩვენდნენ შეგნებულები საბრალო თანამემამულეებს, — რა დროს ეგ წილადობილაა?.. რას გადააჰყოლიხართ მაგ „რწყილობიაცილობიას“? ისე როგორ დაგაბრმავათ ცოდვამ, რომ ცხვირს იქით ვეღარასა ხედავთ? ქვეყანას ნადირ-მხეცები შემოსევიან, ლამის გაგვანადგურონ, ერთი ტყვილა შემქანებელიც არსადა სჩანს და თქვენ კი ჭიანჭველეთში გინდათ თავი ისახელოთ და ისიც უკუღმართობითო!..

— არ შეიძლება, არ შეიძლება — ყვიროდნენ ნაცარქექიები, — ჩვენც კაცები ვართ, ქუდი გვახურავს და უღვაშები გვასხია!.. სხვებს თუ ჰყავსო სათაყვანო და არჩევნებში შედიან, ჩვენ რაღა ვართო?

— კი ბატონო! მაგრე იყოსო, — უპასუხებდნენ შეგნებულები. — აარჩიეთ მაგრამ მისთანა კი, რომ ვარგოდეს რამედ და ქვეყნის გამოსადეგი იყოს რამეშიო!.. თუ მართლდ

იყო და არა იყო რა. იყო დრო, როცა ადამიანს ყველა გრძობაზე უფრო შიშის გრძობა ჰქონდა გამოუხიზლებული და ყოველგვარ საშიშ-საზარელ არსებას, გინდ სულიერი ყოფილიყოს და გინდ უსულო, ყოვლის შემძლებლად ისახავდა, აღმერთებდა და

თავყანსა სცემდა. მრავალმერთობის დრო იყო და ყოველ ერს თავისი შესაფერი ღმერთი ჰყავდა: ზოგს ლომი, ზოგს სპილო, ზოგს გველეშაპი, ზოგს დიდი გველი და სხვანი. ერთი სიტყვით, ვისთვისაც რა უფრო საშიში და საფრთხილო იყო, იმას ემო-

მათ სსოვნას ქვეყანა სათლავად აინთავს...

ირაკლი ამირეჯიბი



ფილიპინების ქუჩის ჩიხი იმ წვიმან ღღეს მღვს იტეველა მრავალრიცხოვან თბილისელებს, აუხაზეთში გამორულად დატეხული მეორის-ირაკლი ამირეჯიბის დაკრძალვზე რომ მოსულიყვნენ.

ირაკლი ამირეჯიბმა 17 ოქტომბერს ტამიშთან მომხდარ ბრძოლაში მოყვანისათვის გაწირა თავი. გაცხარებული ბრძოლისას, ტყვიების წივილში სამშვიდობოსკენ მოჰყავდა დაჭრილი მანდილოსანი და იმ დროს უმუხთლა ბედა, მაშინ დასცა მტრის ტყვიამ მშობლიურ მიწაზე.

მსხვერპლად შეწირვის ზნობრივი მაგალითი დაგვიტოვა ჯიქით შემართულმა და კეთილდღეობა ვაჟკაცმა, — სამშობლოს, მამულის ერთიანობისთვის შეწირულმა.

ირაკლი ამირეჯიბმა პირნათლად მოიხადა თავისი ვაჟი ყველას წინაშე და აღბათ ეს იყო მისი ბედისწერა, მისი მშობელი ქვეყნის ბედისწერას რომ გადაეჯახვა სამარად-

ფაოდ. ირაკლი ამირეჯიბი შეილი განლაკეთ ჩვენი ერთი პირველთაგანი მწერლისა — ჭაბუა ამირეჯიბისა, რომელმაც თავისი „დათა თუთაშხი-ათი“ ზნობის დიდი გაკეთილი ჩაუტარა სრულიად საქართველოს და რომელმაც თქვა, თუ საჭირო განდებდა, აუხაზეთში მე და ჩემი ოთხი ვაჟიშვილი დავიღებებითო.

სწორედ ჭაბუა ამირეჯიბმა ბრძანა:

„სიკეთე, უპირველესად ყოვლისა, ერისთვის სამსახური და კაცათვის მაგალითია; სიყვარული — უანგარობასა და პირუთვნელობაში გამოხატული კეთილმოსურნე დამოკიდებულება სამშობლოსა და სამყაროს მიმართ; მშვენიერების გრძნობას მშობლიური მიწა-წყლის სილამაზე და ერის ზნეობრივკულტურული საგანძური აღვივებს. ყოველივე ამას ზიარებული კაცი — მამულიშვილია, პატრიოტია. ეს ნიშნავს ცხოვრებას დევისიით: „ერისა და მამულის კეთილდღეობა — უწინარეს ყოვლისა!“ სწორედ ეს შეგონება შეისისლზორცა ირაკლი ამირეჯიბმა ყმაწვილობიდან.

მამა ასწავლიდა შვილს: შენ სამშობლოში. შენი ოჯახის დესანინ უნდა იყო და სამშობლოს გარეთ — შენი ერის ღესსანი.

„კაცმა რომ კაცი მოკლას, მიზეზი უნდა ჰქონ-

დეს. მძარცველი ქონებისთვის კლავს. ზელმწიფის, შაჰის თუ სულთნის ჯარში მომსახურე ქართველს ფიცი, დაწინაურების იმედი, ჯილდო აკლვიანებს. საბოლოოდ ესეც ქონებისთვის კლავს, კაცს მომავალს ინაღლებს, სიმატლის თქმა თუ გინდა. ასეთი მკვლეელი ადამიანობას იმიტომ ჩემულს, რომ ნადირისაგან განსხვავებული ზერხით სხადის ნადირულს, თორემ მუცლის ამოყორვისათვის აკეთებს ამას. კაცი, მოვიდა მტერი, გაიქეჭა შენი მოღვმით ნაკარნახევი ცხოვრების წესი, შევიგინა სარწმუნოება, ტყვედ წაიყვანა და ცხრა მთას იქით გადავიკარგა ნათესავი და არც შინ წასვლას აპირებს. ცხადია, ამ კაცს კლავ, მაგრამ იმიტომ კი არ კლავ, რომ გეულს, — უპირველესად ყოვლისა იმიტომ, რომ გაიქეჭა, შევიგინა, წაგართვა ის, რაც გიყვარდა. შენი წინააღმდეგობა სიყვარულიდან იწყება. სიყვარულიდან მოდის ის მსხვერპლის გა-

ღება, თავდასწირვა და ძლევა მოსილებაც, წართმეულს რომ დაგიბრუნებს. ეს სიყვარულის ერთ-ერთი სახეა და არა სიძულვილი“.

ასე იწამა ირაკლი ამირეჯიბმა. „დათა თუთაშხიას“ ავტორმა დაგვიმოდგრა:

„ერს, ანუ უკვდავების, მარადისობის განმარტელებელ ძირითად ძალას ის ადამიანები წარმოადგენენ, ვინც ქვეყანას აძლევს ყველაფერს, თუკი რამ გააჩნია“...

ირაკლი ამირეჯიბმა თავის სამშობლოს ყველაფერი მისცა, თუკი რამ გააჩნდა. მას კი მხოლოდ იმ ყველაზე ძვირფასისა და ფასდაუღებლის გაღება შეეძლო, რასაც სიცოცხლე ჰქვია და აკი არც ღაინანა.

ირაკლი ამირეჯიბი პირნათელი წარუდგა თავის ოჯახს, მამას, წინაპრებს, სამშობლოს.

ანდრია ჭანტუაშვილი



დაბადდა 1971 წელს თერჯოლის რაიონის სოფელ საზანოში. საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ სამხედრო მოვალეობას იხდიდა გერმანიაში. იგი იყო ტანკისტი. გერმანიაში დაამთავრა უმცროს მეტაურთა სკოლა იყო სერჟანტი. გასულ წელს მუშაობდა დაიწყო მილიციის შსს თერჯოლის რაიონულ განყოფილებაში.

1992 წელს მილიციის რაიონული განყოფილების რეკომენდაციით ჩააბარა ქობულისის პოლიციის უმაღლესი სკოლის აკადემიაში. ჩაბარებისთანავე ჩადა სამშობლოს დამცველი... მშ. ა. ჭანტუაშვილი დაიღუპა 1992 წლის 29 აგვისტოს ქვეყანისათვის, სოფელ კოლხიდაში თავის 10 ამხანაგთან ერთად. იგი იყო ძალზე კეთილშობილი, ნიჭიერი ბიჭი. ფიზიკურად და სულიერად მტკიცე თავის საქმეზე, პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული, სამშობლოს ნამდვილი პატრიოტი. რასაც შეწირა კოდეც.

მისო მოსულიშვილი



დასასრული

ვარგოდეს რამედ და ქვეყნის გამოსადეგი იყოს რამეშიო!... თუ მართლა მწერ-ბუზებს იქით გზა აღარა გაქვსო რა, ფუტკარი აირჩიეთ: ის მაინც თაფლსა და სანთელს აკეთებს; ან აბრეშუმის ჭია, დარაიას რომ გაძლევსო! ან წურბელა, ცუდი ხახხლის სხეულიდან გამომწვითო და სხვანი...

— ემ არა, ზარა! — გაიძახოდნენ ცაცარქექიები, — ფუტკარი მოუსვენარია, ვაჟკაცთა დაბზუსის აქეთ-იქით და ჩხველტაცა... იცის, ყაჭის ჭია — მყარალია, წურბელი მოსისხარიაო და სხვანი. ბატონი ტილი და ბატონი რწყილი კი განუშორებლად დღედაღამ სულ ჩვენთან არიან და მხოლოდ ამ ორ გვარს ეკუთვნის და შემწვინის ჩვენი თაყვანისცემო! ამ ორს იქით გზა არა გვაქვს. ან ერთი უნდა ავირჩიოთ და ან მეორე და საქმე მხოლოდ ჯობინობაზე არის მიმდგარიო!

— სად თქვენი კანდიდატი და სად ჩვენიო? — გაიძახოდნენ ტილაქები. — თქვენი ერთი გიგი ვინმეა, მოუსვენარი, ხან აქ არის, ხან იქ, ერთ ალაგას ვერ მიისწრებ, ვერ გააჩერებ! ხან აქ შეძვრება და ხან იქ, დღედაღამ მოსვენებას არ იძლევა! სადაც არ გგონია, იქ გაჩნდება, სადაც არ ელი, იქ გიკბენს და თუ შეგატყობ, ჩემი დაჭერა უნდათო, ისკუპებს და ცხრა მთას გადაეკლებს! ჩვენი კანდიდატი კი მშვიდობიანი, დარბაისელი, დამჯდარი ხასიათის, მორიდებულ-მოკრძალებული; შტორს წასვლის თავი არა აქვს!.. მართალია ხანდახან ჩუმად იკბინება, ისე რომ ტანს მოგაფხანებებს, მაგრამ, თუ შეგატყობ აღმუთება, შეინანებს და იქვე სადმე ნაოჭში მიიმალებაო.

— ეგ ღირსება კი არ არის, წუნიაო, — უპასუხებდნენ რწყილაქები, — ჩვენი კანდიდატი კი მარდია, ცოცხალი, მიხტი-მოხტის, ხან იქ შეძვრება, ხან აქ!.. გაგადვიძებს, გამოგაფხიზლებს და გაგაშფოთებსო!.. თქვენი კი საზიზღარი რამ არის და ყოვლად საბრალდო!

ასე ამოვლად, თავისებურად თავთავისას გაიძახოდნენ ორივე მხრით მოპირდა-

პირეები და მათ ბრძოლას დასასრული აღარ ჰქონდა. ბრძოლაც ხომ ახირებული იყო ამ ნაფარქექიების! არ იყო მისთანა უპატიური რამ, ერთმანეთისათვის არ შეეწამებინათ და არც უშვერი რამ, ერთმანეთისთვის რომ ღრ ეკადრებიათ! ამ არჩევნების დროს რომ „კუდაბზიკეთი“ გენახათ, იტყოდით: ქვეყანას სწორედ მტერი შემოჰსევია და ხალხიც საომრად მომზადებული დახვედრას უპირებს, რომ სამშობლო გადაარჩინოსო. მაგრამ რა ბრძანებაა! ის მხოლოდ „რწყილობა-ტილობას“ თამაში იყო!.. ამ არეულობის დროს გარეშე მტერმა

რას მიგდებულხარ კერასა, თავი რად გაგიქეცია? ტილზე ნუ მფიქრობ, მოშორდი, რწყილს აუარე გვერდიო! რად გინდა პრიშტი-პრუშტები და სომხის ეფემ-ვერდიო? ნუ ჰკარგავ, შენი რაცა გაქვს, ნურც ეხარბები სხვისასა!.. პატარა წყარო სჯობია სასმელად მლაშეს ზღვისასა!.. ადექი, ნაცარქექია, ნუ მიგდებულხარ კერასა, ჭიანჭველებში ნუ ეძებ დაკარგულ ბედისწერასა!..

კუდაბზიკეთი

(ზღაპრული მოთხრობა)

ისარგებლა და სიცილით გაიძახოდა: „წამკიდებელი, წაპკიდელი, ორივეს თავი წასწყვიტეო!“ და მართლაც რომ „კუდაბზიკეთი“ დღით-ღღე სიგლახაკეში ვარდებოდა: ტურჯ-მელეები ფრინველებს იპარავდნენ, მგლები ოთხფეხს იტაცებდნენ და დათვი იქაურობას ტორავდა და ანადგურებდა, — ერთი სიტყვით, პატრონი აღარავინ იყო!.. ბოლოს ჩავარდა ქვეყანა იმისთანა განსაცდელში, რომ ტილიც დაავიწყდათ და რწყილიც!.. დიდი და პატარა ტირილით გაიძახოდა: „გვიშველეთ, ვინ ხართ მამაციო?!“ დაგვიანებული „ვაი! ვაი!“ და „გვიშველეთ!“ კარგად მოგეხსენებათ, ვერაფერი მალამოა წყლულისათვის, და საბრალდო ნაცარქექიების სატკივარსაც აღარა ეშველა რა!.. მაშინ კი ჩაფიქრდნენ, ჩახვდნენ გონებაში და სთქვეს: ეს რა გვემართება? სწორედ გაღალული ვართ, თვალი გვკრეს და დაგვანანანაკესო! შემლოცველი უნდა სადმე მოვნახოთ! — აქეთ ვცენ, იქით ვცენ, მოიყვანეს ერთი მკითხავი და გამოალოცვის „თვალყვისათვალნაკრავისა“. ბებერმა სამჯერ თვალეში მიაფურთხა ნაცარქექიებს, სული შეუბერა და მოჰყვა:

ნაცარქექია, ქექია, ფუჭო, ტყუილაგბექია!

ეს რომ შეულოცა, თავზე ხატის ნაბანი გადაახხა ნაცარქექიებს, და რადგანაც ნაცარქექიები პირდაღებული შეჰყურებდნენ მკითხვს, წყალი ნახევარზე მეტი პირში ჩაესხათ... მეტი მოუვიდათ და კინაღამ დაიხრჩვენ...

აუვარდათ ხველა. ბებერმა ხელახლა გამოისახა პირფარი და სულთამბრძოლის შეულოცა.

„ცისა და ქვეყნის შუამავალი, დედა მარია იჯდა სამოთხისა კარსა და ლოცვილობდა. მოვიდა წმინდა გიორგი, თაყვანი სცა და მოახსენა: „დედაო ღვთისაო! მოვიარე ფეხდაფეხ შენი წილხვედრი, ვნახე დაცემული, დავარდნილი, სადაც აღარცა ძველი ძველობს და არც რა ახალია“. ატირდა დედა მარია და ცრემლი მისი მარგალიტად ვერებოდა ქვეყანასა ზედა. მივიდა იესო და შეეკითხა: „დედაო, რას სტირი, ვის იგლოვ? ცასა და ქვეყანასა?“

— „გსტირ ჩემ საწილოსა! ვგლოვ ჩემ სადედოფლოსა, დღეს დაცემულსა, დავრდომილსა და შენგან დავიწყებულს, ხელაღებულსა!“ — „არა, დედაო ჩემო, მე როგორ დავივიწყებ შენს სადედოფლოსა? ხელს ვით ავიღებ შენს წილ-ხვედრზედა?.. მხოლოდ გამოვსცდი იობის განსაცდელითა, რომ უმეტესად გავპკურნო და ავამაღლო! წყულმცა იყოს ეშმაკი მისდამი შეჩენილი და ფუ მის ავის თვალთ შემყურესა!..“ გაიხარა მარია, შეწვიტა ცრემლები და ღიმილი ტკბილი ქვეყნად ნათლად მოჰგინა. ამინ“.

ბატონო ნოდარ!

გაზეთ „საქართველო“-ს 16.22 ოქტომბრის ნომერში (№41) გამოქვეყნებულია დიდი დიდების მაცხოვრებელია ღია წერილი ჩემს მიმართ, სადაც საუბარია აღნიშნული რევიზიის სატრანსპორტო მომსახურებაზე. გაცნობებთ, რომ ძირითადი თხოვნა №214 და №215 მარშრუტების გამოკლებაზე გათვალისწინებულია, როგორც ერთი ისე მეორე მარშრუტი დღეისათვის მუშაობს დამოკლებული სქემით. რაც შეეხება №223 მარშრუტს იგი დაკომპლექტებულია ბენზინის საწვავით მომუშავე ავტობუსით, რომელთა დამოკლების საკითხი განხილული იქნება საწვავის მიღების და შემდგომი მისი მარაგის უზრუნველყოფის გათვალისწინებით.

სამწუხაროდ სახელმწიფო ბენზინის უქონლობის გამო სხვა გამოსავალი ვერაურობით არ ვაპყნებ. ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით აღვუთქვა დიდი დიდების მაცხოვრებლებს, რომ გვესმის რა, რომ ისინი დიდი მანძილით არიან ქალაქს დაშორებულნი, ამასთან ერთად იქ წარმოება-დაწესებულებების არ არსებობის გამო მუშაობენ ქალაქის სხვადასხვა რეგიონში, ყოველმხრივ შევეცდებით ქაქისმალურნი ყურადღებით მოვეკიდოთ მათ სატრანსპორტო მომსახურების საკითხს, თუ ამის შესაძლებლობას მოგვცემს გზა და საწვავი.

პატივისცემით
სატრანსპორტო გაერთიანების
უფროსი
ნ. ნაშაძე

გაზეთ «საქართველო» რედაქციის ბატონ ნოდარ პრიგალაშვილს

სახლბუთო ფონის ყოველკვირეულ - პოლიტიკურ გაზეთ „საქართველო“ ა/წ 9-15 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „ნუწმდეს საქართველოს მარცხი“, მოყვანილი ფაქტები დროულია და სისწორეს შეესაბამება.

საქართველოს რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „მეოლითი“ გაცნობებთ, რომ 1991-92 წლებში მიუხედავად გატარებული მთელი რიგი კომპლექსური ღონისძიებებისა მერყეული შავი და ფერადი ლითონების ჯარითა და ნარჩენების დამზადების (ჩაბარების) შედეგად გაუზარებულსადაც, რიგი სამინისტროები, უწყებები, საწარმო-დაწესებულებები, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების გამგებლები არ ახორციელებენ ამ საქმეს სთანადო კონტროლს, ვერ იხსენებენ მითხოვნილებას სახელმწიფოსათვის ამ მეტად საჭირო ნედლეულის ჩაბარების უზრუნველყოფად, რევიზიების გარეშე ტოვებენ ლითონის დავალების შეუსრულებლობის ფაქტებს, რის შედეგადაც ა/წ 10 თვეში 282 786 ტონიდან დამზადდა და სხელმწიფოს ჩაბარდა 97553 ტონი ლითონი, რაც დავალების შესრულების 42,1 პროცენტს შეადგენს (დავალების შესრულებას დასჯად 133 233 ტონი) და ეს მაშინ, როდესაც ცალკეული ფორმები, კოპირატივები, საწარმო - დაწესებულებები, სარგებლობენ რა რესპუბლიკაში შექმნილი რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებით, სხვადასხვაგვარი ახერხებენ ლითონის გაზიდვას თურქეთში, იტალიაში და საზღვარგარეთის სხვა სახელმწიფოებში, რამაც უფრო მეტად დაძაბა ვითარება, დავალების შესრულების საქმეში. (მოუხედავად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 7 აგვისტოს დადგენილებისა „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან შავი და ფერადი ლითონების ჯარითა და ნარჩენების ექსპორტის დროებითი შეჩერების შესახებ“, სადაც აღნიშნულია შეწყვეტის

დროებით 1992 წლის 1 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე საქართველოს ტერიტორიიდან ჯარითა და ნარჩენების ექსპორტი, მათ შორის რესპუბლიკის შიდა მნიშვნელობისა).

საჭიროდ მივაჩნით, რათა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მიიღოს სპეციალური დადგენილება, რომლის საფუძველზე შავი და ფერადი ლითონების ჯარით და ნარჩენები უნდა გამოცხადდეს სტრატეგიულ ნედლეულად და დაწესდეს მათზე სახელმწიფო მონოპოლია.

დაწესდეს საქართველოს რესპუბლიკაში შავი და ფერადი ლითონების ჯარითა და ნარჩენების ჩაბარებაზე სახელმწიფო შეკვეთა.

დადგენილებით მომავალ წელსაც აიკრძალოს შავი და ფერადი ლითონების ჯარითა და ნარჩენების საზღვარგარეთ გატანა, მათ შორის რესპუბლიკის მიხედვით შემოტანილი ჯარითა.

ჩვენს მიერ აღნიშნული დადგენილების პრაქტიკულ მომხდევად და წარედგინება მინისტრთა კაბინეტს განსახილველად და დასტატიციბლად.

„მეოლითის“ გენერალური დირექტორი
ზ. ნოდარაძე

კორუსკონდენსია ჩხორწყვიდან

ვზომობ, რომ დროა ყველას და ყველაფერს საკუთარი სახელი დავერავს. არ არის დასაძალი საქართველოს მოსახლეობისათვის, რომ ჩხორწყვიდან რაიონში და სამეგრელოს ზოგიერთ რაიონებში ამჟამად პრაქტიკულად სახელმწიფო ხელისუფლება არ ფუნქციონირებს. ხალხი კი სწორედ მისგან მოითხოვს როგორც სოციალურ, ისე ფიზიკურ დაცვას. არადა, რეალურ ძალაუფლებას რაიონში ფლობენ ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული ჯგუფები... შექმნილი დაძაბული ვითარება შედეგია პრაქტიკულად ორხელისუფლებიანობის არსებობისა, რომლის დაშვება არამც და არამც არ შეიძლება. მოსახლეობა ადამიანთა გარკვეული ჯგუფის ამბიციურობის მსხვერპლი არ უნდა გახდეს, არადა ამის სიმპტომები მართლაც შეინიშნება. კერძოდ, ჩხორწყვის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი დაკავებულია ჩაის კულტურით. რაიონის შემოსავლის ძირითადი წყაროც სწორედ ეს კულტურაა.

მთელი წლის განმავლობაში, რთულმა საზოგადოებრივმა-პოლიტიკურმა ვითარებამ დიდი დარტყმა მოკუნა ეკონომიკის ამ მნიშვნელოვან დარგს. შარშანდელთან შედარებით მოიკრინა ჩაის მხოლოდ 20-25 პროცენტი, ამჟამად, მზა პროდუქციის დიდი ნაწილი საექვო პირობებების ხელში გადავიდა — კერძო საკუთრებაში. (ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რა ხერხებით). ფაბრიკები ამის შედეგად გაკორტების გზაზე არიან და, ბუნებრივია, მენაიებები ვერ მიიღებენ სრულყოფილად შრომის ანაზღაურებას. ეს ყოველივე მათი ოჯახების შიმშილობის საშიშროების ქვეშ დაყენებას ნიშნავს. საბიუჯეტო ორგანიზაციებს კი უკვე ნახევარი წელიწადია ფული არ მიუღია.

ნომიკური კრიზისი. რესპუბლიკის ხელმძღვანელობისა და ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივით რაიონში შევიდა პროდუქციის სხვადასხვა სახეობა, მათ შორის ფქვილიც. თუ რა ფასებში გაყიდულიყო ყოველივე, ამაზე კონტროლი უნდა განხორციელებინა მას, ვინც რაიონში რეალურ ძალაუფლებას ფლობს. კონტროლის დროს გასათვალისწინებელია ყაჩაღური ჯგუფების წილობრივი მითვისებები და ეკონომიკის დუბჰირი მხარეები.

მოსახლეობის მოთხოვნა შრომის ანაზღაურების გაცემისა, სამართლიანია, მაგრამ ფულის ნიშნის ჩატანა დიდხანსდებით რაიონში დიდ რისკთან არის დაკავშირებული. ფულის წარმატებით ჩატანა დღეს დამოკიდებულია ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული ჯგუფების კეთილგანწყობაზე, რაც ჭრეჭვრებით არ შეინიშნება.

სასწრაფოდ და აუცილებლად მიმართა შემდგვი ღონისძიებების ჩატარება:

1. უნდა შეიქმნას სპეციალური საპარლამენტო კომისია სამეგრელოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. სამეგრელოში სტაბილიზაციის ფაქტორი ბევრად განაპირობებს აფხაზეთის კონფლიქტის უკეთესობისაკენ შემობრუნებას. მოლიპარაკებას არ უნდა აწარმოებდნენ საგანგებო რწმუნების არმქონე თანამდებობის პირები.
2. გამოძიებულ იქნას სამეგრელოში სახელმწიფო საჯარისო ფორმირებებისა და ექსპრეზიდენტის შეიარაღებული ჯგუფების წარმომადგენელთა მიერ ჩადენილი დანაშაულებები და პასუხისგებაში იქნას მიცემული ყველა დანაშაულები. ამ უკანასკნელ დაჯგუფებებში მოქალაქეთა ნაწილი შურისძიების მიზნით არიან გაერთიანებულნი და არა პოლიტიკური მოტივით.
3. გამოცხადდეს ექსპრეზიდენტის მომხრე იმ შეიარაღებულ პირთა ამნისტია, რომელთაც სისხლის სამართლის დანაშაული არ აქვთ ჩადენილი, მათი ხელშეუხებლობის გარანტიით.
4. მოლიპარაკების დაწყებამდე აუცილებელია ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებულ ფორმირებები გავიდნენ კონფლიქტის ზონიდან პირობითი დისლოკაციის ადგილზე. ამ ეტაპზე პოლიციამ უნდა განახორციელოს სამართალდამცავი ღონისძიებები.

ეს ყოველივე უმოკლეს ვადაში თუ არ განხორციელდა, მოსახლეობის ემუქრება როგორც სულიერი, ისე სოციალური კრიზისი, რისი დაშვებაც მომავლიდან გამომდინარე საკარტელოსათვის.

როცა ურთიერთობა და მოქმედების სტატუსი გაურკვეველია, დიდ შედეგობად მიმართა ადგილობრივი ხელისუფლების ალიანსი ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებულ ჯგუფებთან. ორხელისუფლებიანობა მხოლოდ და მხოლოდ ხალხის საზიანოა. ხელისუფლება უნდა იყოს სახელმწიფოს ხელში. ხალხი, რომელიც ამ უკანასკნელისაგან ელოდება დაცვას, უკვე ვთვებზე მეტად ბედის ანაზღაურება მიტოვებული. დამშულ ჩხორწყვილებს ლტოლველითა ახალ-ახალი ნაკადები ემატება აფხაზეთიდან და მათთვის ხელის გამართვაია საჭირო.

ვეფქრობ, რესპუბლიკის პარლამენტი ყურადღებით მოეკიდება ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსახლეობის მოთხოვნებს და უმოკლეს ვადაში შეიქმნება საპარლამენტო კომისია.

ზ. ნოდარაძე
ჩხორწყვის ადგილობრივი მმართველობის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

სამწუხაროდ, ჩვენ წესად მოგვდგამს საქმეზე ვილაპარაკოთ მაშინ, როცა იგი გაფუჭდება და ვეძებოთ გზები, როცა ურემი გადაბრუნებულია. მაგრამ კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ხშირად არც საქმის წახედნის შემდეგ ვიტივობთ თავს ფიქრით და მწარე გაკვეთილებიდან დასკვნები არ გამოგვაქვს.

სანამ გავრის ტრაგედია დატრიალდებოდა, საქვეყნოდ ვტრიაბახობდით, სოტბა-დიდებებს ვსხამდით საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, რომლებმაც სულ რამდენიმე დღეში, მცირე დანაკარგის ფასად, თითქმის უბრძოლველად სძლიეს აფხაზ სეპარატისტებს და საქართველოს საზღვრებამდე გავიდნენ. მაშინ, ელვისებური გამარჯვების ფონზე, ზოგიერთი თავხეზელადებულის გარდა არავის ვილაპარაკებდა იმ ნაკლოვანებებზე, რაც არსებობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში და რამაც მიზეზი ყვანა გავრის საშინელ ტრაგედიაზე.

უბედურების შემდგომ ერთბაშად „აღმოჩნდა“, რომ თურმე ბრძოლის ველზე ადგილი ჰქონია საშინელ, ღალატის ტოლფას დაუდევრობასა და განუკითხაობას. მაღალი თანამდებობის სამხედრო ჩინოვნიკები ერთმანეთს ეჯობებოდნენ იმ მიზეზების ჩამოთვლაში, რამაც განაპირობა დამარცხება: — გამცემლობა, მრავალხელისუფლებიანობა, უდისციპლინობა, მეტრძოლთა თვითნებობა, უყარათობა, დეზერტირობა, მარადირობა, ნარკომანია, ანტისანიტარია.

ერთი სიტყვით, ნახევარი აფხაზეთის დაკარგვა და ათასობით ადამიანის სიცოცხლე დასჭირდა იმის გამოკვევას, რომ ჩვენს შეიარაღებულ ძალებში სრული ქაოსი და დეზორგანიზაცია სუფევდა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს გახლდათ ფაქტის უბრალო კონსტატაცია. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მი-

ზეზები თავისთავად წარმოიშვნენ. არც ერთ სამხედრო პირს, რომელიც აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებებს ხელმძღვანელობდა არ უკისრია პასუხისმგებლობა ამ დამარცხებაზე. პირიქით, უმაღლესი სამხედრო ხელისუფლებიდან დაწყებული და რიგითი დამთავრებული (დაიას, ასეთი წოდებაც არსებობს ჩვენს „ჯარში“) ყველანი ცდილობდნენ სხვის-

თვის გადაებრლებინათ დანაშაულის მთელი სიმძიმე, ხოლო საკუთარი დავალი და დამსახურება მამულის წინაშე გახვიადებულად წარმოეჩინათ.

პასუხისმგებლობის თავიდან არიდების ტენდენცია იმდენად ძლიერი იყო გავრა-კოლხიდა-განთიადის დაკარგვის შემდგომ პირველ დღეებში, რომ ზოგიერთმა ფანტაზიით აღსავსე მემორამა თავისი უხუსურობის გასამართლებლად პირდაპირ ლეგენდები შეთხზა ფანტატიკურად მეტრძოლ ჩეჩნებზე, ლაზერულ ტანკებზე, რომლებსაც ვერანაირი იარაღი ვერ აჩერებს, აფხაზების არნახულ შეიარაღებაზე, რითაც პანიკა და შიში დასთესა ომის კომარებით დასაფრულ მოსახლეობაში.

ერთი სიტყვით ნაირ-ნაირ მიზეზებს ასახელებდნენ, მაგრამ სხვადასხვა შეიარაღებულ დაჯგუფებათა ხელმძღვანელები რატომღაც კრინტსაც არ სძრავდნენ იმაზე, რომ თავი და თავი ამ საშინელი ტრაგედიისა, მინც ის არის, რომ საქართველოს არ ჰყავს ერთიანი,

მტკიცე და დისციპლინებული არმია; რომ სხვადასხვა შეიარაღებულ ფორმირებათა ცალ-ცალკე არსებობა ასუსტებს არამარტო მათ, არამედ მთელ საქართველოსაც... რომ ერთიანი სამხედრო ხელმძღვანელობის თვინიერ, უმკაცრესი და ხაომარი მდგომარეობის შესაფერისი დისციპლინის გარდა ზედმეტია რაიმე გამარჯვებაზე და საერთოდ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე საუბარი.

კარგად ბრძანა ცოტა ხნის წინ ბატონმა ნოდარ ნათამქმ: „დისციპლინა ის ჯოხი კი არ არის, რომელიც საც ჯარისკაცს ურტყამენ; არამედ ის ჯოხია, რომელსაც ჯარისკაცი ეყრდნობა, როდესაც მას უჭირს“-ო.

უდისციპლინოდ, ერთიანი სამხედრო ხელმძღვანელობის გარეშე ომი, რაც არ უნდა დიდი პატრიოტული შემართება და ძლიერი იარაღი გქონდეს, ფაქტობრივად, უსაჭურგლო ომია, და იგი ისეთივე საშინელი მარცხით მთავრდება, როგორც ეს მოხდა აფხაზეთში ოქტომბრის დასაწყისში.

სამწუხაროდ სოსუმიდან მიღებული არაოფიციალური ცნობების თანახმად ირკვევა, რომ გავრის ტრაგედიის გაკვეთილებიდან ჯერ კიდევ ვერ გამოვიტანეთ საჭირო დასკვნები: არაოფიციალური საჯარისო ფორმირებები ბრძოლის ველზე კვლავაც შეუთანხმებლად მოქმედებენ და არ ჩქარობენ გაერთიანებას.

საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობისათვის უსაჭურგლო ომი გრძელდება.

ეს საგანგაშოა!...

უსაჭურგლო ომი

ქართული ზღაპრების სქე-
ლი წიგნი ალაღებდნენ გადევ-
ნალები. (ზღაპარი მჭირდებოდა,
ოღონდ რომელი, ჯერ არ ვი-
ცოდით) „ღამაზების ქვეყანა“...
ზღაპარიც პატარა... კითხვა
დავიწყებ...

„იყო და არა იყო რა,
ღვთის უკეთესი რა იქნებოდა,
იყო ინდოეთ ხელმწიფე შადა-
თი, კაცი ამაყი, გულზედადი და
პატივ-ღიღების მოყვარული.
ქვეყნად რა უნდა ყოფილიყო
ისეთი, რომ ამას მოენდობინა
და ხელთ არ ეგდო. თუ სად-
მე ღამაზი ქალი აღმოჩნდებო-
და, უსათუოდ მის ჰარამხანაში
უნდა მიეყვანათ“... მივხვდი, ეს
ზღაპარი არ გამომადგებოდა,
თავის დაწვებაც გადავიწყვიტე,
მაგრამ მერე ვიფიქრე, ერთი
ბევრ ზღაპარია, თანაც ალაღ-
ბელზე გადაშლილი, ჩავიცი-
თხავ, რაც იქნება, იქნება-მეთ-
ქი... „საუკეთესო ცხენს დაიგუ-
ლებდა და მანამ არ მოისვენებ-
და, სანამ არ დაისაკუთრებდა,
იმის ხმალ-აბჯარსა და ჯაჭვ-
მუზარადს ხომ ნუ იტყვით, ქვე-
ყნად ბადალი არ მოეპოვებოდა.
სასახლეც თავის გუნების
აიშენა ბროლ-მარმარილოსი,
თანდათან ისე გაიტაცა განდი-
დებისა და მოხვეჭის სურვილ-
მა, რომ ბოლოს ეზო-კარმიდა-
მოში სამოთხის გაშენება და
შიგ ციური ანგელოზების და-
სახლება გადაწყვიტა.

თქმა და ქმნა ერთი იყო.
გააშენა სამოთხე. შეამკო ყვე-
ლაფრით, დაიბარა ნაზირ-ვე-
ზირები და უბრძანა, წადით,
დაიარეთ მთელი ზღვა და ხმე-
ლი და სადაც კი ანგელოზები
ნახოთ, ყველა აქ მოშვედითო.

იმ დროს ანგელოზები დე-
დამიწაზე ჩამოდიდნენ და მა-
თი პოვნა ძნელი არ იყო“...

უცებ გამეხარდა, ნეტა იმ
დროს, როცა ანგელოზების პო-
ვნა ძნელი არ იყო-მეთქი, გავი-
ფიქრე. წარმოვიდგინე ციდან
ჩამოსული და ხალხში შერეუ-
ლი ანგელოზები. უკვე არ ვნა-
ნობდი, ზღაპარს რომ ვკითხუ-
ლობდი...

„წავიდნენ ნაზირ-ვეზი-
რები, შეიპყრეს ყველა ანგე-
ლოზი და დატყვევებულები ინ-
დოეთის შორეულ გზას გაუყე-
ნეს. იმ ალგელზე რომ მივიდ-
ნენ, სადაც ახლა ჩვენი საქარ-
თველოა (???) ინდოეთიდან ამ-
ბავი მოუვიდათ, მეფე შადათს
ზედმეტი თავგასულობისა და
კანდიერებისათვის. ღმერთი
გაურისხდა და სასტიკად დასა-
ჯა — შხამიანი გველები მიუ-
სია, დააკებინა და წაპებით
მოაკვლევინაო.

ტყვე ანგელოზებმა ეს ამბა-
ვი რომ გაიგეს, დიდად გაიხა-
რეს, შადათის ნაზირ-ვეზირებს
აღარ დამორჩიდნენ და ინ-
დოეთში აღარ გაპყვნენ, მაგ-
რამ აღარც ცაში დაბრუნდნენ,
ისე მოეწონათ ნათელი, შხი-
ანი, ყოველმხრივ შემკული, ღა-
მაზი ადგილი, რომ ხელი
აიღეს თავიანთ ძველ ადგილ-
სამყოფელზე და საბოლოოდ იქ
დარჩნენა გადაწყვიტეს“...

მღელვარებისაგან სუნთქ-
ვა შემეკრა...

„ასე დასახლდნენ საქარ-
თველოს მიწა-წყალზე ციური
ანგელოზები. დღევანდელი ქა-
რთველი ასულები, ასე რომ ხი-
ბლავეს ყველას მათი თვალ-წა-

რბის შუქი, ტანგნარობა, სი-
ლამაზე, იმ ანგელოზთა შთა-
მოძველები არიან, ჩვენს ქვეყ-
ნასაც საქართველო სწორედ
იმ დღიდან დაერქვა, რადგან
ინდურ ენაზე ქართული ღა-
მაზს ნიშნავს“.

...სული ისე გამიტბა, აშკა-
რად ვიგრძენი, როგორ გამიქ-
რა ყველა ტკივილი და საწუხარ-
ი. ავერ ბატონო, რა მეცნიერ-
რული კვლევა-ძიება სჭირდებ-
და, საიდან ვართ და ვინა
ვართ?! ყველაფერი ნათელია,
ვინცა ვართ!

ამ ერთი ბევრ ზღაპარმა
ისეთი რწმენა და იმედი ჩამი-
სახა, ისეთი მაღლობელი შევი-
ქენი მისი შემთხვევლის, ისე
აშკარად დავინახე მისი კეთი-
ლი და თბილი თვალები, რომ
გული ამიჩუყდა. „ღამაზების
ქვეყანა“ მთელი საქართველო-
სათვის ხმამაღლა წასაკითხი
ზღაპარი აღმოჩნდა.

* * *

„ღამაზების ქვეყანას“ შემ-

აღარ იცოდნენ რა ეთხოვათ
ჯადოსნური ბეჭდისათვის.
ძროხა ვთხოვოთო, მერე ძრო-
ხის გულსათვის როგორ შევა-
წუხოთო, მოდი, გავაასკეცოთ
შრომა, ძროხა ჩვენ თვითონ
შევიძინოთო, ბეჭედი კი უფრო
დიდი თხოვნისთვის შევიინახო-
თო. მართლაც, მათ შრომას
ფრთხი შეესხა და სულ ცოტა
ხანში ძროხაც შევიძინეს. ისევე
შეიყარნენ სათათბიროდ — მო-
დო, სახლი ვთხოვოთო, მერე
სახლისათვის როგორ წაეხ-
დინოთ ბეჭედი, წაეღებოთ ფეხი
დავიდგათ და იქნებ სახლი ჩვენ
თვითონ ავაშენოთო. დაუზო-
გავი შრომით სახლიც აიშენეს
და ასე მოპყვნენ, ბეჭედი რო-
გორ შევაწუხოთო როგორ დავ-
ხარჯოთ და რისი ნატვრაც უნ-
დოდო, ყველაფერი თავად შე-
ისრულეს. მერე კაცი მოკვდა,
შვილებს კი ახსოვდათ, რომ
მამას ჯადოსნური ბეჭედი ჰქო-
ნდა, შეილიშვილებმა კი სულ
არაფერი იცოდნენ. კაცს ბეჭე-

ისა ჰყავს თვალში ამოღებული
და ზნეობრივ ქულებსაც მას აგ-
როვებინებს.

— თუ როგორ ექცევა ქა-
რთველი კაცი ჯადოსნურ ბე-
ჭედს

უცებ მომინდა ქართული
ჯადოსნური ბეჭდის შემოწმე-
ბა და გამახსენდა ის ჩემი მზის
ასული, რომლის ძებნაშიც
ჩვენს პატარა ზღაპარს, „ღამა-
ზების ქვეყანას“ გადავწყვიტე.

ესევე ქართული ჯადოსნუ-
რი ბეჭდის ამბავი — „მზის ასუ-
ლი“.

სამ ძმაში მესამე ძმა ძალი-
ან მშრომელი ბიჭი იყო. ყანა
ძმების ყანებს შორის ჰქონდა.
ერთხელაც სეტყვა მოვიდა და
მარტო მისი ყანა გაანადგურა:
„მოვიდა პატრონი, დახედა ყა-
ნას და დაწვდა გული, მაგრამ
არაფერი თქვა, აიღო ნამგალი
და გაუდგა გზას ბედის საძებნე-
ლად“. ალბათ, ასეთი შემთხვე-
ვისათვის შექმნა ხალხმა ანდა-
ზა:

ქონება დატოვა. მას ხომ შეეძ-
ლო გამდიდრებულიყო ჩემო-
ვის გაუგებარებელი ყველაფე-
რის გადაწყვეტა მამის, როდესაც
შეეძლო ბედს სწეოდა.

ამასობაში ქართული ან-
დაზა თხზავდა: „ბედნიერების
გასაღებს მოთმინება იძლე-
ვაო“, ჰოდა ბიჭმაც უნდა მოი-
თმინოს, აქ არ მისცა ბედმა,
სხვაგან მისცემს!

ინგლისურ თარგზე: სად
ექებს ეს ხალხი ბედს?

— რას მომცემ, რომ სამი
წლის მანძილზე შენს ფარას
ერთი ციგნის ყურიც არ დავკ-
ლო, არც ნადირს რამე გავატა-
ნო, არც სატკივარს მოვაკვლე-
ვინო? — ჰკითხა კიდევ ერთ
მდიდარს ბიჭმა.

— შუაზე გაგიყოფო, — უპა-
სუხეს.

მართლაც ისე მოაშენა ბი-
ჭმა ცხვარი, რომ მიწას უძძიმ-
და მისი ტარება. ის იყო, ბაჭში
ერეკებოდა ცხვარს გასაყო-
ფად, რომ უცებ მგელი გამოვა-
რდა, ეცა ცხვარს, მოიტაცა და
გააქანა ტყისკენ. პატრონი მა-
ინც შუაზე უყოფდა ცხვარს,
მაგრამ მეცხვარემ გადაუგდო
კაცი და წავიდა თავის გზაზე.
ბედს რომ ჩემთვის სიკეთე
სდომებოდა, მგელი ცხვარს არ
მომტაცებდაო. ინგლისურ თა-
რგზე: კიდევ დატოვა ქონება,
კიდევ წავიდა, ნეტავ სად მი-
დის, ან ვისთან მიდის? ან რა
ბედს უჩივის, და საერთოდ, რა
კაცია?

ქართული ანდაზა კი ამა-
სობაში მგელს მისდევდა:

„მგელს ცერცვი შეაყარე
და მგელს კრავი შეაბრალო“.

ბიჭი საბოლოოდ დაღონ-
და. „ობლის კვერი ცხვა, ცხვა,
გვიან გამოცხვაო“, აღარ ახსე-
ნდება. უფრო იმაზე ფიქრობს,
ობოლს კვერს ბევრი რომ ჰპი-
რდება და არავინ რომ არ უც-
ხობს.

„საკუთარი ყანა სეტყვამ
გამიფუტა, სხვას დღიურ მუ-
შად მოუურიგდი და მზემ არ
დამინდო, ცხვარი მგელმა გა-
მაცალა ხელიდან. ჩანს ბედი
არაფერში მწყალობს და დღე-
იდან აღარც მე შევაკლავ თავს
საქმეს. ვივლი ასე ქვეყნიდან
ქვეყნად და რასაც ღმერთი მო-
მცემს, იმას დავეჯივრები.

ინგლისურ თარგზე: ნეტა
ვის რას საყვედურობს, ვისი რა
ბრალია, მე აქ უბედურობას
ვერ ვხედავ, აი უკვე ორჯერ გა-
უშევა ბედი ხელიდან... და საე-
რთოდ, სად მცალია, მე ამის
თვალის სადვენელად, ახლა
თავისიანებმა მიხედონ, საქმე
უკვე წაიხდინა.

მერე ბიჭმა მზის ასული
მოიტაცა.

ქართული ანდაზა კი ამ
დროს ჩანდა: „თუ ჩემი
თავი გინდაო, იყავ ყოველთვის
წმინდაო“.

მზის ქალი: — მე მზის ქალი
ვარ, უბრალო ქალი არ გვეო-
ნო! იყოს ნება შენი! აჰა, ეს ბე-
ჭედი, ეს არის ჩემი მზითვევი,
ამის მეტი არა გამაჩნია რა, მა-
გრამ ამას ისეთი ძალა აქვს,
ორივეს შევიინახავ: მიწაზე
დადებ, სუფრა გაიშლება, სუფ-
რაზე დადებ, საქმელ-სასმელი
ჩამორიგდება, იქით გასწევ —
ჭურჭელი არიგდება, აქეთ გა-
მოსწევ — ჩამორიგდება.
ბიჭს ყურშიც კი ჩაესმა —

„ღამაზების ქვეყანა“, ან „ჭირი შედის ურემობითა და გაემოდის მისხლობითა“

მანანა ყიფიანი

თხვევით გადავწყვიტე, გამიზ-
ნულად კი „მზის ასული“ მდო-
მებია თურმე. ნაპოვნმა ზღაპარ-
მა გამაფრთხილა, რა გზი-
თაც უნდა იარო, რა დასკვნებ-
მდეც უნდა მიხვიდე, გასსოვ-
დეს, რომ ერთი პატარა ზღაპარ-
ი ვარ და შენთვის იმედვად ვა-
ნთივარო!... ისე კი, აი რას ვა-
პირებდი!... იყო და არა იყო რა,
ღვთის უკეთესი რა იქნებოდა,
(მართლაც რა იქნებოდა
ღვთის უკეთესი?)

იყო ორი ზღაპარი
იყო ორი ჯადოსნური ბე-
ჭედი
იყო ორი ხასიათი
და ბოლოსდაბოლოს იყო
ორი ფენომენი!

ამ ორი ზღაპრიდან ერთი
ინგლისურია:
იყო და არა იყო რა, იყო
ერთი ღარიბი კაცი ქვეყანაზე
არაფერი ებადა და ცოლ-შვი-
ლიც მშვიერ-ტიტველი დაუდი-
ოდა. კაცმა ბედის საძებნელად
გასწია. ბევრი იარა თუ ცოტა
იარა, მიადგა ერთ ჯადოქარს.
ჯადოქარმა ჯადოსნური ბეჭე-
დი მისცა — მხოლოდ ერთ სუ-
რვილს ასრულებს, მეტს არაო.
განარებული კაცი შინისაკენ
გამობრუნდა. გზად ღამის გა-
სათევად სასტუმროში გაჩერ-
და. სასტუმროს პატრონს ყვე-
ლაფერი უამბო ჯადოსნურ ბე-
ჭედზე. ღამით ამ ღარიბ კაცს
სასტუმროს პატრონმა ბეჭედი
შეუცვალა, თავად ბევრი ოქრო
ინატრა და ნანატრ ოქროშივე
დაიმარხა. დილით კაცი ვერა-
ფერს მიხვდა, ყალბი ბეჭდით
შინისკენ გასწია. ოჯახის წევ-
რებს თავგზა აებნათ სიხარუ-
ლისგან, თათბირი გამართეს,

და სამარეში ჩააყოლეს თურ-
მე.

ისეთი ძლიერი შთაბეჭდი-
ლება მოახდინა ჩემზე, ისეთი
მოწვევით იყო ჩემთვის
ყველაფერი, რაც მასში ხდებო-
და, ისეთი მწვავე სინანული
ვიგრძენი იმის გამო, რომ იგი
ქართული არ იყო, რომ აღარ
ვიცოდი, რა შექმნა...

მაშ ასე მოექცა ინგლისე-
ლი კაცი ჯადოსნურ ბეჭედს?
მაშ ისე მოკვდა, რომ აღარავის
ახსოვდა ჯადოსნური ბეჭდის
არსებობა? მაშინ პატარა ჩანა-
წერიც გავაკეთე: „სულ ესაა
ინგლისური ზღაპარი, მაგრამ
როგორ ასახავს იგი თავისი
ერის სულს! რა იოლი ამოსაც-
ნობია იგი ჩვენთვის და დასკვ-
ნებსაც რა იოლად ვაკეთებთ.
მოგვეტყვოს „ზერელობა“)

— ინგლისელი კაცი, ალბათ,
მთელი თავისი სიცოცხლე
მხოლოდ საკუთარი შრომით,
მხოლოდ საკუთარი თავის
რწმენით აგებდა თავის ბედს.
ზღაპარშიაც ვერ იყვნებოდა იგი
ჯადოსნურ ბეჭედს, რადგან
იცოდა, არსებობდა ერთადერ-
თი რეალობა, ცხოვრება, რომ-
ლისთვისაც თავად უნდა მოე-
ლო ბოლომდე, ზღაპარშიც კი
არ აძლევდა იგი თავს უფლე-
ბას, ოდნავ მაინც გაეიოლებინა
ყოფა, ოდნავ მაინც სხვის იმდ-
ზე დარჩენილიყო. ალბათ ეს
თვისება აშენებს ადამიანს,
ერს, ქვეყანას“.

...იქნებ ვინმემ მითხრას,
ის სასტუმროს პატრონიც ხომ
ინგლისელიაო. მართალია, ინ-
გლისელია, მაგრამ ზღაპარი
ღარიბ კაცსაა ადევნებული, მი-
სი ავან-ჩავანი აინტერესებს,

„ბედი ხნავს და ბედი თე-
სავს, ბედი მოიძვინა ყანასაო“...
(ანდაზებით ბევრჯერ შევაწუ-
ხებთ, მკითხველო, უანდაზოდ
ფონს ვერ გავაღო, სათქმელს
ბოლომდე ვერ ვიტყვიო).

მაგრამ ბიჭს თავის ბედზე
ჯერ გული არ გაუტუნავს. იქ-
ნებ ისიც იცის, ანდაზას რომ
უთქვამს, ბედი გვიანი სჯობსო.

ბიჭი ერთ მდიდარ კაცს
დაუდგა მოჯამაგირედ. რას
მომცემ, რომ ეს ყანა ერთ დღეს
მოვიძეო. შუაზე გაგიყოფო —
უპასუხეს.

დაიწყო გლეხმა ულოს
გრება. შუადღემდე გრისა. მე-
რე მოუღო ნამგალი და დაუსვა.
ის იყო, ერთი ძნალა ჰქონდა
დარჩენილი შესაკრავი, რომ
ჩადის მზე. მოუხდაა ქუდი და
შევევდრა!

ნუ ჩახვალ, ჯერ ცოტა მო-
იცადებო!

მაგრამ მზემ აღარ მოიცა-
და. გლეხმა შეკრა ის ძნაც და
მოვიდა ყანის პატრონიც, ძა-
ლიან გაუკვირდა, ყანა რომ
მომკილი ნახა.

— გაგიყოთ ახლა შუაზე,
როგორც პირობა გვაქვსო! —
უთხრა მან დაღლილ მომ-
კალს.

მომკალმა არ უხმინა, გა-
დაუგდო ნამგალი და უთხრა:
— ბედს რომ ჩემთვის სიკე-
თე სდომებოდა, ამ ერთი ძნის
შეკრასაც დამაცდიდა, რაკი
პირობა ვერ შევასრულე, ერთი
მარცვალაც არ მინდა, შენ შე-
ნთვის და მე ჩემთვისო, და წა-
ვიდა.

ინგლისურ თარგზე: რა
უცნაური კაცია ეს ქართველი!
სიტყვა ვერ შევასრულეო და

„ობლის მამა ღმერთიაო!“

ინგლისურ თარგზე: რაო, ჯადოსნური ბეჭედიო?

ბიჭი: — უკეთეს ვერაფერს ვინატრებდი, საქმეში ხელმძღვანელი კაცისთვის სწორედაც რომ მისწრება, აღარც საქმე შემაწუხებს, აღარც საზრუნავი და რასაც ვინატრებ, მზამზარეული მომივა. ისეთ განცხრობაში ვიქნები, რომ ბედს ყველა შენატროდეს! ინგლისურ თარგზე: ეს ბიჭი თავის თავს საქმეში ხელმძღვანელს ეძახის, საქმეში ხელმძღვანელი კი არა, მე მგონი, ტვინში ხელმძღვანელი უნდა იყოს.

ამასობაში ქართული ანდაზა ბიჭს შემოფოთებულ მზერას არ აცილებს...

ბიჭი: — კარგი ხარ, კარგო ყოფილი, კარგო ცხენო და ჩონჩაო...

უკვე ანდაზის ბუზღუნიც ისმის: ზოგი კაცი ცხენზე რომ შეჯდება, ღმერთი დაავიწყდება და რომ ჩამოხტება, ცხენიო... ანდა კაცი რომ გამდიდრდება, სახლის კედლები მრუდედ მოიხვეწებაო. „მაგრამ ბიჭი უკვე მთელი ხმით გაყვიროდა — ხელმწიფე უნდა დაეპატიყო.

ქალი: — შენს ქერქში დაეტიე, მიუწვდომელს ნუ წაეპოტინები, თორემ ეს ერთი ბეჭედი გაგაჩნია და მაგასაც დაკარგავო.

აღბათ, ამ დროს ითხზებოდა ანდაზა — „თვალის შორს ხედავს, გონება კიდე უფრო შორსო“, ანდა „ბრძენი სიტყვა ითქვა, ბრძენო ყურო სადა ხარო!“

„ბიჭი: — უნდა დაეპატიყო, ჩვენი გლეხური ცხოვრება უნდა ვაჩვენო, დაე, დარწმუნდეს, რომ ჩვენი შეგვიძლია ხელმწიფის საკადრისი მასპინძლობის გაწევა.

ამაზე იქნებოდა ზედგამოჭრილი — „ჭკვიანის სიტყვას რეგვენის ყუროში მინავსო.“

მერე ბიჭმა უბედურება მართლაც თავად აიტყნა. „ჭკვიანო რომ გველს წაეზომება, გაწყდებაო,“ — ამ დროს წაიჭირქილა, ალბათ, ანდაზამაც, მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ბიჭს ქალის წართმევით დაემუქრენ, თუ მზის ერკემალს არ მიუყვანდა ხელმწიფეს. ქალისკენ მიძავალ გზაზე ბიჭს ნიშნისგვით მისდევდა ანდაზა: „ბედი თუ მოგცემსო, ცემა-ტყეპით მოგწვევსო, რაც კაცმა თავის თავს უყო ქვეყანა მიადგა და იმან ვერ უყო!

„ქალი: — ეხლა წუწუნის ველარაფერს გიშველის, უნდა ადგე და წახვიდე. ხმელეთს რომ გაივლი, იქ მიხვალ, სადაც მზე და მთვარე ბუღბუნენ, შენი გასაჭირი იქ მოუყვივი, ეგებ გიშველონ რამე!

ეგებ გიშველონ, ისევე ეგებ... ისევე აუტყვიარი თავის ატყვიება!

„თავში კაკუნის ვინ მიყოლო და ჩემმა ენამაო,“ — ისევე გაბრაზებულია ანდაზა, „ჭირვეულისათვის“ ჭირი არ მშურსო,“ — თან დააყოლებს, მაგრამ ბოლოს ისიც დაწყნარდება, მაინც მუსიანია ბიჭი და კვლავ მხარში ამოუდგება: „უბედურებას ბრძენის თვალთ უნდა ყურებაო“, „ჭირში გატყნვა არ ვარგა, თუ კაცი გონიერია, წავა

და ყველაგან დარჩება, სოფელი ღონიერიო.“ მაგრამ გულში მაინც ეჭვი გაჰკრავს, ისიც იცის, რომ „ჭირი შედის ურმობითა და გამოდის მისხლობითა“.

სიამამრი სიამამრია და ბოლოს სიძის დახმარება გადაწყვიტა. ოქროს ერკემალი აღუთქვა, ოღონდ როგორც მასპინძლის წესია, ნამგზავრს ბაღში დასვენება შესთავაზა და მისი დაპურება მგელსა და ელიას დააჟალა.

ინგლისურ თარგზე: არა, ამ ბიჭს ეტყობა ღმერთი სწყალობს, ჰოდა რადგან ღმერთი სწყალობს...

ანდაზა ამაყად: „ობლის მამა ღმერთიაო!“

„მოშივედა მზის სიძეს, დაჯდა და დაუწყო ლოდინი. მივიდა მგელი და მიუტანა სუფრა, მივიდა ელია და მიართვა საჭმელ-სასმელი. მზის სიძეს ერთი კომბალი ჰქონდა...“

„აქ დატრიალდა თუ დატრიალდა ამბავი. სულ ცემით დაასია მგელი და ელია ბიჭმა; თქვენ არ დამღუპეთ, პირობა რომ ვერ შევასრულო.“

მერე რომ ისადილა, მზის ბაღს გაავლო მუსრი.

ინგლისურ თარგზე: აი, ეხლა კი მართლა არაფერი მესმის... რა დროს შურისძიებაა, მიზნისთვის მიუღწევია, ყველაფერს იღუპავს. არა, ბატონო, არა, ამ ბიჭთან მე არაფერი მესაქმება...

ანდაზა ამაყად: ძალა დევისა, გახტომა ფურ-ირემისა!

„რადა ჰქენი ასეო? — ჰკითხა მზემ სიძეს.

თქვენ რაღადა ჰქენით ისე, რომ ერთი საწყალი მამული მეგლო, წამოუშინა ელიამ სეტყვა, გამოიხრაო. ოთხი წელიწადი ხელმწიფეს ტყუილად ვემსახურე, წილი დამაკარგვინა მგელმაო, ან მე რომ ასი დღის ყანა ერთ დღეს მომეგე, შეეკონე, ერთი მნალა მქონდა შესაკარავი, გთხოვე, ნუ ჩახვალ-მეთქი და შენ ყურიც არ შეიბერყვიო?“

მზემ ველარაფერი უთხრა, მისცა ოქროს ერკემალი და გაისტუმრა მშვიდობით...

ანდაზა ისევე ამაყად: ყველამ ღმერთი ახსენა, ლომმა კი კლანჭებზე დაინედაო...

ეს ზღაპარი ასე არ მთავრდება. ანდაზის თქმის არ იყოს, ჭირი შედის ურმობითა და გამოდის მისხლობითა. მისხალ-მისხალ გამოდენა ბიჭმა ჭირი. ბედს ეწია, ხელმწიფის ქონებაც მას დარჩა და იმ მოზღვავებულ ბედნიერებაში უკვე აღარავის ეცალა ფიქრისათვის. „ყველა ძაღლი ერთი ჯონით არ გაიდენებაო...“ ჰოდა, იყო მესამე ზღაპარიც...

ვიდაც უფრო „ფზიზელმა“ მეზღაპრემ იმ ძაღლზე შეთხზა სწორედ, ჩვენთვის ნაცნობი ჯონით რომ არ გაიდენება. ანდაზისეული „ძაღლი“ ამ შემთხვევაში ის ადამიანი უკუნურებაა, რომელსაც ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება ვერაფერმა უშველოს, ვერც კაცი და ვერც ღმერთმა.

ჩვენ კი ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ „მზის ასულის“ ბიჭმა „ბედის მამებრის“ ზღაპარში შეაბიჯა...

„იყო და არა იყო რა, იყო

ერთი უიღბლო კაცი, რა საქმისთვისაც არ უნდა მოეკიდა ხელი, ყველაფერი უკუღმა წაუვიდოდა. ერთხელ ადგა და ბედის საძებნელად წავიდა, რადაც უნდა დამიჯდეს, ჩემი ბედი უნდა ვიპოვო...“

გზაზე ვის არ გადაეყარა ეს კაცი. ყველასთან მივიდა, ყველას გამოეცნაურა, ყველას გააგებინა თავისი ხეტიალის მიზანი. ჯერ მგელი შეხვდა, შეწუხებული. კბილატკივებული, ხეს მიყუღებოდა. მგელმა რომ გაიგო ბედის საძებნელად მიდიოდა, იქნებ ჩემი ტკივილის წამალი გამიგო. მერე შიმშილით შეწუხებულ ხალხს გადააწყდა. ყანას დავეთხავთ, მკათათვეში ცეცხლი წაეკიდება და სულ ერთიანად გადაიბუკება, იქნებ ჩვენი გაჭირვების მიზეზი გაგვიგო. ბოლოს ერთ ხელმწიფეს მიადგა, რომელსაც მრავალრიცხოვანი ჯარი ჰყავდა და ბრძოლაში მცირერიცხოვანი ჯარის ხელმწიფე ამარცხებდა. ისიც შეგვეწვა, იქნებ ჩემი მარცხის მიზეზი გამიგო. უიღბლო კაცი ყველას დაჰპირდა დახმარებას.

„იარა, იარა და შეხვდა ერთი ჭლაროსანი კაცი. იმ ჭლაროსანსაც ჩვეულებრივად მიესალმა. მაგრამ იმან ხმა არ გასცა. კაცი კიდევე მიესალმა და ჭლაროსანმა კიდევე არ უპასუხა. მესამედაც მიესალმა და არც მესამედ უპასუხა. გაბრაზდა უიღბლო კაცი, ხელი მოკიდა და უსაყვედურა:

— რა არის, სამჯერ მოგესალმე და პასუხი რომ არ გამეციო?

ჭლაროსანმა ახლა კი ამოიღო ხმა და ჰკითხა:

— რა გინდა, კაცო, რას დაეძებო?

ჩემს ბედს დავეძებ და უნდა ვიპოვო, — მიუგო კაცმა.

— შე ვარ შენი ბედი და რას მთხოვო? — შეეკითხა ჭლაროსანი.

— სათხოვარი ბევრი მაქვს, მაგრამ ჯერ სხვათა დაკლება უნდა შევასრულო, — უთხრა კაცმა.

... რა უცნაური შეხვედრაა. გამარჯობა არ აღირსა ჭლაროსანმა უიღბლო კაცს, თითქოს წინასწარ იცოდა ვისთან ჰქონდა საქმე, რაღაცით გამო-

სცადა, რაღაცაზე შეამოწმა... ეტყობა ცოტა მიედ-მოედი მოეჩვენა ბედის მამებარი კაცი... მაგრამ განა ივარგებდა, ამ ჩვენს კაცს მარტო თავის თავზე რომ ეზრუნა და სხვათა გასაჭირზე არ ეფიქრა? და მაინც რაღაცით არ მოეწონა ეს კაცი ჭლაროსანს, ეტყობა ჩვენზე მეტი „მართლა“ იცის სხვათა ბედის განმგებელმა...

და მოუყვა კაცი ბედს ყველას გასაჭირს. ბედმა ყველას სატკივარი აუხსნა. მგელზე უთხრა, ყველაზე დიდი ვირის ტვინი შეჭამოს და მორჩებაო. მოშიშვილე ხალხზე უთხრა, იმ ყანაში ოქრო-ვერცხლია დამარხული, მკათათვეში ცხელდება და ცეცხლი მიტომ ეკიდებაო, ამოთხარონ და მოისვენებენო. მგომარ ხელმწიფესთან კი დააქალა, ჯარის სარდლები შეცვალოს და გაიმარჯვებსო. თავის თავზე კი აი რა უთხრა:

„თუ მისხვები და გამოიყენებ, შენი ბედი, უკან რომ დაბრუნდები, გზაზე შეგხვდებაო“...

...თუ მისხვები და გამოიყენებო... ეტყობა შეატყო წინასწარ ჭლაროსანმა რისი მიმხვედრიც და გამოიყენებელიც იყო უიღბლო კაცი.

„გამობრუნდა უიღბლო კაცი და წამოვიდა შინისაკენ. მივიდა დიდჯარიან ხელმწიფესთან და უთხრა, ჯარის სარდლები შეცვალე და გაიმარჯვებო. ხელმწიფემ მაშინვე შეცვალა სარდლები და კაცს უთხრა:

— მოდი, ბარემ ომს დამეწვარი და თუ მართლა გაემარჯვე, დიდძალ ოქრო-ვერცხლს მოგცემო.

კაცი არ დაყაბულდა, — გზაზე ჩემი ბედი მომეღის და ის უნდა ვიპოვო, უთხრა და წამოვიდა. მივიდა მხვენელ-მთესველ ხალხთან და იმათსაც უთხრა თავიანთი გაჭირვების წამალი.

ხალხმა სთხოვა, რაკი ასეთი სიკეთე გვიყავი, მოდი ბარემ შენც შემოგვიერთდი მადნის მოთხრაში და ნახევარს მოგცემთო. მაგრამ კაცი არც ამით დაყაბულდა. მე გზაზე ჩემი ბედი მიმეღის და ის უნდა ვიპოვო.

იარა, იარა და, ბოლოს, მივიდა კბილატკივან მგელთან... — აბა, გამიყვანა მარტო ჩემი კბილის წამალიო? — ჰკითხა მგელმა.

— შენი კბილის ტკივილის წამალი ვირის ტვინი ყოფილა, როგორც კი შეჭამ, მაშინვე მოვირჩებაო.

— შენ გასაჭირზე რაღა გითხრაო? — ჰკითხა მგელმა.

კაცი დაჯდა და რაც გზაზე შეხვდა ყველაფერი დაწვრილებით უამბო — როგორ შესთავაზა ხელმწიფემ დიდძალი ოქრო-ვერცხლი, თუ გაიმარჯვებდა, ან მხვენელ-მთესველებმა მადნის ნახევარი და დააყოლა, — მე ყველაფერზე უარი ვთქვი და ჩემი ბედის საძებნელად წამოვედიო.

მგელმა თავი გააქნია, ამაზე დიდი და უტკუო ვირი ამქვეყნად აღბათ მეორე არ მოინახებაო, — თქვა გუნებაში — სწორედ ესა ყოფილა ჩემი კბილის წამალიო, — წამოაქცია კაცი და ტვინიან-ხორციანად შეჭამა“.

როგორც ვხედავთ, ზღაპარი მეტად სევდიანია და კეთილად არ თავდება. იმედის ნასახსაც არ გვიტოვებს, ...თუმცა იმედი ის არის, ასე არ უნდა მოვიქცეთ და გვეშველებო, მაგრამ რას ჰქვია „მოვიქცეთ“, თუ „მოქცევა“ — „არმოქცევის“ გონი არ გვექნა?! არა გაქვთ და არც არასოდეს გექნებათ. — ზღაპარი იმიტომ შეითხზა, ჩვენ გავეფრთხილებინეთ, ყველა საქციელს გონი დაატანეთ და თუ ვერ მოიძიებთ საჭიროს, სხვას მაინც დაეკითხეთო. ნამდვილად ასეა, იმედიც სწორედ ეს არის. ჭკუას გვარიგებენ და ყური უნდა დაუგოდოთ...

და ბოლოს ეს ლამაზების ქვეყანა მარტო ფიზიკურად ლამაზ ხალხს ხომ არ გულისხმობს?.. ლამაზს ხორციტაც და სულიტაც, გონიერს, მაღალს, უხვს, მდაბალს, მოსამართლეს, მოწყალეს...

მაშ მრავალქამიერ!... იმ განთავისუფლებული ანგელოზების შთამომავლებმა ფეხზე ადგომით ერთხელ კიდევე დავილოცოთ — ლამაზების ქვეყანას გაუმარჯოს!





„შაბაუ
სიტყვა,
შაბაუ კაცი,
შაბაუ საქმე
მისგან
ქმნილი“...

უსწოები სტრიქონები
გალაკტიონის არქივიდან

1937 წლის სექტემბერში, ყირიმში დასვენების შემდეგ, თბილისში დაბრუნებული გალაკტიონის მეუღლე თალია სტეფანეს ასული ოკუჯავა დააპატიმრეს. პოეტი იმ დროს საავადმყოფოში წალი-ლა: „საავადმყოფოდან გამოწერილს იაკვარი დამეცა, როცა შევეცქეე რომ თალია დაეპატიმრებინათ,“ გვაძეგნებს პოეტი (ქ. XII, გვ. 229).

გადასახლებაში მეოთხე თლიასა-გან გალაკტიონმა პირველი წერილი 1937 წლის 1 დეკემბერს მიიღო. 1937 წლის 1 დეკემბერსვე, ე.ი. პირველი წერილის მიღებისა და გაცნობის დღეს, პოეტს დაუწერია ეს ლექსიც:

ჩვენ მივდივართ გზით თქვენ მიერ
გაკვალულით,
თქვენი ძვლებით მოფენილით,
თქვენის ტყვიით, დინამიტით
გაკვალულით,
დასტკბით სუფრით მოფენილით.
რა აქვს ტრიერს სასაცილო,
იციან-კი!

ეს დრამაა, დრამა მუდამ.
ეხლა ბევრი ტრიერია! ძირს ცი-
ნიკი,
ძირს იუდა!

(პოეტის არქივი, გვ. 1734, თხ.ტ. IV, 1966, გვ. 184)
ბევრის მოქმედია პოეტის მიერ დაძაბულობის მძიმე წუთებში გაბე-
დული თქმა „ეხლა ბევრი ტრიერია!
ძირს ცინიკი, ძირს იუდა!“ — ეს
ხომ აშკარა პროტესტი იყო ჯალა-
თების, მკვლელების, ადამიანური
უფლებებისა და თავისუფლების ჩა-
მსობითა წინააღმდეგ! პოეტის
„მე“ — ში ჩამჯდარი ეს გრძობა,
ჩანს, არ ჩამქრალა, იგი თავის
პირად გაჭირვებას, ხშირად ჩაიდ-

ვით უბედურებად განცდილს, სხვას
თავს არ ახვევდა. 30-იანი წლების
საშინელებათა უშუალო მოწმე და
თვითმხილველი პოეტი თავის გულშე-
მატკვიერებს ადრეც აფრთხილებდა:
„ბევრს ეშინოდეს ჩემი სასტიკი და
ულმობელი გამოღვიძებისა“ —

ტოტალიტარული რეჟიმის ყოფ-
ლად გაუმართლებელი რეპრესიების
უმიმძეს წლებში, როდესაც გალაკ-
ტიონის თქმით „საქართველოს ცაზე
კაცის სულმა გადისრავლა“ პირა-
დად პოეტის უმიმძეს ტრაგედიამ,
ძვირფასი მეუღლისა და მისი ექვსი
დედმამაშვილის დაპატიმრებამ (მე-
უღლე დაუხვრიტეს 1941 წლის 11
სექტემბერს მედვედოვის ტყეში, და-
ნარჩენი ექვსი კი სხვადასხვა
დროს), მის პიროვნებაში დაგროვი-
ლი გრძობა მან პოეტური სტრიქო-
ნებითაც გამოხატა მეუღლის რეა-
ბილიტაციის დღეებში (1956 წლის
თებერვალში), ვერ ვიტყვი, რომ ეს
სტრიქონები გალაკტიონისეული მა-
ღალი ოსტატობის გამომხატველი
იყოს, ის პოეტური ჩანაფიცის პი-
რველი მონახაზია, რომელსაც, ჩანს,
დასახვეწად ვედარ მიუბრუნდა და
შთამომავლობას მისმა პირადმა არ-
ქივმა შემოუნახა (იხ. პოეტის არ-
ქივი, გვ. 8113, 8114, 8942-12,
22; ა-35, გვ. 34, ა-27, გვ. 7-8)
აქ ვკითხულობთ:

ტროზობას სამშობლოსადმი
გულში ვინ ამოშლიდა,
რომ არა სჩანს ქართველი,
ნეტა ვინ ამოელიტა?
სისხლის ღვარი ამდენი
ნეტა ვინ დააყენა,
ჭირი სხვადასხვაგვარი
კარზე ვინ მოგვაყენა?

არე მათი ცხედრებით
ნეტა ვინ გადაფარა?
ვინ წაართვა სამარე,
ბნელს ვინ გადააბარა?
რატომ, რისთვის მითხარი
აქ ვინ რა დააშავა?
მიწა რამ გააწითლა,
ზევა რამ გააშავა?
წინ მიმქროლი მერანი
ამ გზად ვინ შეაყენა
და აქამდე ნათული
დიდი გზა ვინ გაპყინა?!
ვინ ხად გადაასახლეს?
სიბნელეც, რა დაგარქვა?
ცხრა მთას იქით ეს ხალხი
ნეტა ვინ გადააპარგა?
კაცი, ვისაც სიმტიციით
ვერავინ გადახრიდა
ვინ, რომელი იუდა
კაცის ხელმა დახვრიტა?
წყლული ვით მოშუშდება
საამო მოშუშებით,
მწერლობა, ოჯახები
აივხო ჯაშუშებით.
ვინ არის რომ ამდენი
სისხლი რომ დააქცია?
ვინ არის რომ ედემი
უდაბნოდ რომ აქცია?
სტალინია — სამშობლო
სისხლისფერად მოხატა.
სტალინია — ქართველ ერს
სული რომ ამოხადა!

ფლოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
იოსებ ლორთქიფანიძე
რედაქცია მადლობას სწირავს ბა-
ტონ ოსებს უნიკალური მასალის
მოწოდებისთვის.



იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საშირ...
ჩვენი გაზეთი დასაბუჟდალ მოქალაქე 27 ნოემბერს, მაგრამ ტაქნიკური მიზეზების გამო დღეგად ვერ გამოვიცით

ბაზილი „საქართველო“ უკვე და-
საბუჟდად იყო მომზადებული, როდეს-
საც „დროის“ ახალი ნომერი გადა-
ვიკითხე. ამ სახელდახელო რეალიტის
დაწერა მაიძულა „დროსი“ დასტამ-
ბულმა ბატონ თეიმურაზ ქორიძის
წერილმა — „რომ უნდა დავამარც-
ხოთ“, რომლის ფინალშიც ავტორი
ასკვნის: „თუ ჩვენ გვინდა მყარი
მშვიდობა საქართველოში, თუ
გვინდა გვაღიარონ ცივილიზე-
ბულ ერად, თუ ვაღიარებთ კა-
ნონს უზენაესობას და პატივს
ვცემთ ადამიანის უფლებებს,
უნდა აღვადგინოთ ოსური ოლ-
ქის სტატუსი საქართველოში.
ნუ დავარქმევთ მას „სამხრეთ
ოსეთს“ თუ ეს სახელწოდება
რალაც ცუდ მოგონებებს აღგვი-
ძრავს. დავარქვათ მას დვალე-
თი, ცხინვალის ოლქი, სამანაბ-
ლო... რაც გნებავთ, მაგრამ
ოსური ავტონომია (ოლქის სტა-
ტუსით) უნდა აღდგეს“.

თ. ქორიძე „აღიარებს“, რომ თავის
დროსე სამხრეთ ოსეთის ავტონომია
უკანონოდ შეიქმნა. ამას კი დიდსე-
ლოცნად გვიდასტურებს იგი, მაგრამ
უკანონო ოლქის აღდგენა, რაც უკა-
ნონობის დადასტურება იქნებოდა, მა-
ინც ქართველი ერის ცივილიზირებუ-
ლობის გამოხატულებად მიიჩნია, არა-
დღგენა კი თითქმის ველურობად.

ქორიძის ლოგიკით, თუ გვინდა
რომ გვაღიარონ ცივილიზებულ
ერად, თუ პატივს ვცემთ კანონის
უზენაესობასა და ადამიანის უფლე-
ბებს, საქართველოში კიდევ 5 ავ-
ტონომიური ოლქი უნდა შევქმნათ.
რადგან, თუ ოსებს უკანონო ავტო-
ნომიას აღვუდგენთ, რატომ არ იქ-
ნება კანონიერი იგივე მოსხოვნა
წამოგვიყენონ აზერბაიჯანელებმა,
სომხებმა და სხვათა და სხვათა?

თ. ქორიძის მრწამსით, ომი რომ
დავამარცხოთ, გართულება არ დირს...
ომის დასამარცხებლად უფრო მოკლე
გზაც არსებობს, თეიმურ ბატონო, „ეს-
ენგეში“ შევეძვრეთ, რადგან ამ ომის
ინიციატორი ვინც არის, მგონია, მო-
გესხნებათ. თუ ესეც არ დააკმაყო-
ფილებთ, სულაც გადავრუსდეთ, ამ
შემთხვევაში ომს პირდაპირ სასიკვდი-
ლო ლახვარს ჩავცემთ...

აკი ჩვენმა „უტკუო“ წინაპრებმა
ვერ მოიფიქრეს ეს ამბავი, თორემ
გათაყრებაში რა შეუშლიდათ ხელს.
დასანანია, რომ იმ დროს თეი-
მურაზ ქორიძის ჭკუის კაცი არ
აღმოჩნდა საქართველოში.

მიუხედავად ურთიერთკეთილ-
განწყობისა, ეს სათქმელი მკვა-
ხედ უნდა მეთქვა, ჩემო შემამ-
ფოთებლად გაბედული აზრების
ავტორო.

ნოდარ გრიგალაშვილი